ტრენერთა ტრენინგის მოდული ქალთა პოლიტიკური მონაწილეობისა და არჩევნების მიმართულებით

ავტორი: თათია ქინქლაძე, ISFED

2024 წ.

მასალა მომზადდა ორგანიზაცია „ქალები საერთო მომავლისთვის (WECF) - საქართველოსა“ და ავტორის მიერ, პროექტის „ინკლუზიური მომავალი: ქალების, ახალგაზრდების და უმცირესობების გაძლიერება ცვლილებისთვის“ ფარგლებში, USAID-ის პროგრამა „ერთიანობა მრავალფეროვნებაშია“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს საქართველოს გაეროს ასოციაცია, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით. მასალაში მოცემული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის "ქალები საერთო მომავლისთვის (WECF) - საქართველოს”/ავტორს და არ უნდა აღიქმებოდეს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და საქართველოს გაეროს ასოციაციის ოფიციალურ პოზიციად.

ტრენინგის დღის წესრიგი

10:00 - 10:15 არჩევნების მნიშვნელობა დემოკრატიული სახელმწიფოსთვის (15 წუთი)

10:15 - 10:55 ქალთა და ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური მონაწილეობის მნიშვნელობა (40 წუთი)

10:55 - 11:05 საპარლამენტო არჩევნების არსი (10 წუთი)

11:05 - 11:20 ვის აქვს არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება და როგორ უნდა გადავამოწმოთ თავი ამომრჩეველთა სიაში (15 წუთი)

11:20 - 11:35 ყავის შესვენება (15 წუთი)

11:35 - 11:50 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების არჩევნებში მონაწილეობის თავისებურება (15 წუთი)

11:50 - 12:00 უცხოეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების არჩევნებში მონაწილეობა (10 წუთი)

12:00 - 13:00 წინასაარჩევნო კამპანია/წინასაარჩევნო პროცესში მოქმედი დარღვევები (60 წუთი)

13:00 - 14:00 ლანჩი (1 საათი)

14:00 - 15:00 წინასაარჩევნო კამპანია/წინასაარჩევნო პროცესში მოქმედი დარღვევები (გაგრძელება, 60 წუთი)

15:00 - 17:00 კენჭისყრის პროცედურები, იმ უბნებზე, სადაც არჩევნები ტექნოლოგიების გამოყენებით ტარდება (120 წუთი)

17:00 ტრენინგის შეჯამება

არჩევნების მნიშვნელობა დემოკრატიული სახელმწიფოსთვის

ტრენერი სვამს კითხვას: ***რა მნიშვნელობა აქვს არჩევნებს დემოკრატიული პროცესებისთვის?***

მონაწილეთა პასუხების შეჯამების შემდეგ, ტრენერი თავდაპირველად ხსნის თუ რას ნიშნავს არჩევნები, ხოლო შემდეგ საუბრობს არჩევნების მნიშვნელობის შესახებ.

რა არის არჩევნები?

არჩევნები წარმოადგენს ინსტიტუციური მექანიზმს, რომელსაც მოქმედებაში მოჰყავს დემოკრატია. ხალხმა უნდა მიიღოს მონაწილეობა პოლიტიკაში და ამის საუკეთესო გზა არჩევნებია.

არჩევნები აღნიშნავს სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების შექმნისა და თანამდებობის პირების არჩევის პროცედურას.

არჩევნები თავისთავად აჩენს განცდას და რწმენას ადამიანებში, რომ ისინი უშუალოდ იღებენ მონაწილეობას მმართვის პროცესში, **ირჩევს რა თავის რჩეულებს ან თავად არიან არჩეული.**[1]

რა როლი აქვს არჩევნებს დემოკრატიული პროცესებისთვის?

არჩევნები უზრუნველყოფს დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპის პრაქტიკულ რეალიზაციასა და მოქალაქეთა მონაწილეობას სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებაში. სამართლიანი საარჩევნო პროცესი ხელს უწყობს თანამედროვე, პლურალისტური საზოგადოების ჩამოყალიბებას და ქმნის დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილების ფუნდამენტს.

დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება ეფუძნება თითოეული მოქალაქის თავისუფალი თვითგამორკვევისა და ღირსების პატივისცემის იდეას. თანამედროვე სახელმწიფოში ხალხის სახელით მოქმედი სახელმწიფო ორგანოების ლეგიტიმაცია უშუალოდ ხალხის ნებიდან უნდა მომდინარეობდეს. ***არჩევნები არის ის მექანიზმი, რომელიც სახალხო სუვერენიტეტის რეალიზაციის შესაძლებლობას ქმნის.*** სწორედ კონსტიტუციური სტანდარტების შესაბამისი, თავისუფალი, საყოველთაო და თანასწორი არჩევნები წარმოადგენს დემოკრატიული სისტემის საყრდენს.

სადისკუსიო საკითხი: ***უნდა იყოს თუ არა ნებაყოფლობითი არჩევნებში მონაწილეობა მოქალაქეებისთვის?***

---

[1] (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის №1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთანებები „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-8).

ტრენერისთვის ინფორმაცია: ხმის მიცემის თავისუფლება, დემოკრატიული სახელმწიფოების უმეტესობა ხმის მიცემას მოქალაქეების უფლებად განიხილავს. **სავალდებულო ხმის მიცემა** - სახელმწიფოების მცირე ნაწილში ხმის მიცემა სავალდებულოა და გათვალისწინებულია სანქციები.

სავალდებულო ხმის მიცემა ბელგიის (1892), არგენტინის (1914) და ავსტრალიის (1924) კანონმდებლობით არის გათვალისწინებული.

ქალთა და ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური მონაწილეობის მნიშვნელობა?

სავარჯიშო: რა ფაქტორები ახდენს გავლენას ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობაზე? (35 წუთი)

მონაწილეები იყოფა 4-5 ჯგუფად. თითოეულ ჯგუფს ტრენერი აძლევს შემდეგ დავალებას:

მონაწილეებმა უნდა განიხილონ და ჩამოწერონ ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობაზე მათ რეგიონში. ტრენერი სთხოვს მონაწილეებს, შეიმუშაონ რეკომენდაციები თითოეული ფაქტორის გასაუმჯობესებლად და აძლევს ჯგუფებს 15 წუთს მსჯელობისთვის.

თითოეულმა ჯგუფმა უნდა წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები (5-7 წუთი თითო ჯგუფს).

დასასრულეს ტრენერი აჯამებს ყველა ჯგუფის მიერ გამოვლენილ ფაქტორებს.

შემაჯემებისთვის ტრენინერს შეუძლია გამოყოს რამდენიმე ფაქტორი:

პოლიტიკური კულტურა და გენდერული სტრეოტიპები

პოლიტიკური კულტურა წარმოადგენს საზოგადოების განწყობებისა და ღირებულებების განსახიერებას და განსაზღვრავს იმ როლებს, რომელსაც ინდივიდი შეიძლება ასრულებდეს პოლიტიკურ პროცესებში. კულტურული დამოკიდებულებები და განწყობები პარლამენტში ქალთა პროპორციულ მონაწილეობაზე იმ შემთხვევაში აისახება ნეგატიურად, თუ ეს გენდერული უთანასწორობით გაჯერებულ ტრადიციულ ფასეულობებს ეფუძნება, რომელიც ორიენტირებულია შეინარჩუნოს პოლიტიკაში კაცების დომინანტი როლი.

ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია (CEDAW) სრული თანასწორობის მიღწევის პროცესში აუცილებლად მიიჩნევს კაცების და ქალების ტრადიციული როლების ცვლილებას, რისი აუცილებლობაც საქართველოში ჯერ კიდევ არის. ამას ადასტურებს

საქართველოში 2020 წელს გაეროს „გენდერული თანასწორობისთვის“ კვლევის ფარგლებში მომზადებული ანგარიშის შედეგები. კვლევის თანახმად, საზოგადოება მხარს უჭერს ქალების პოლიტიკაში ჩართვას, მათ შორის გამოკითხულთა 60% ფიქრობს, რომ მეტი ქალის ჩართულობა პოლიტიკაში დადებით შედეგის მომტანი იქნება ქვეყნისთვის. მიუხედავად ამისა, გამოკითხული რესპოდენტების ნახევარზე მეტს სჯერა, რომ კაცები უკეთესი პოლიტიკური ლიდერები არიან.[17]

პარტიული მხარდაჭერის ნაკლებობა და არაეფექტური ფინანსური წამახალისებელი ზომა

მიუხედავად იმისა, რომ ქალები აქტიურ როლს ასრულებენ წინასაარჩევნო კამპანიისა თუ პარტიის მხარდამჭერების მობილიზაციის პროცესში, ისინი ნაკლებად არიან წარმოდგენილი პარტიებში გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე. გლობალურად, პარტიებში მმართველ პოზიციებზე ქალების წილი მხოლოდ 11%-ია.[18] ხშირად, პოლიტიკური პარტიები კანდიდატების შერჩევის პროცესში თავს არიდებენ არჩევნებში ქალების კანდიდატად წარდგენას. ***მაგალითად, საქართველოში 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე წარდგენილი ქალი კანდიდატების რაოდენობა 17.69%-ს შეადგენდა, ხოლო პროპორციული სისტემის საფუძველზე 37%-ს.[19]***

საარჩევნო სისტემის გავლენა ქალთა მონაწილეობაზე

არაერთი კვლევით დასტურდება, რომ საარჩევნო სისტემა არსებით გავლენას ახდენს ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობაზე. მაჟორიტარული სისტემისგან განსხვავებით, პროპორციული წარმომადგენლობის სისტემა უფრო მეტად უწყობს ხელს ქალთა წარმომადგენლობას. ამას ადასტურებს ვენეციის კომისიის ანგარიშიც.[24] პროპორციული სისტემა შედარებით უფრო ღია და ინკლუზიურს ხდის პოლიტიკურ პროცესებს ქალთა წარმომადგენლობის თვალსაზრისით.[25] პროპორციულ წარმომადგენლობითი სისტემა პარტიებს საშუალებას აძლევს წარმოადგინონ დივერსიფიცირებული საარჩევნო სია, სადაც მეტი ქალი კანდიდატი იქნება ანუ პოტენციურად მეტი შესაძლებლობაა ქალთა ჩართულობის გასაზრდელად.

რა მნიშვნელობა აქვს ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობას?

ქალთა სრული და ეფექტური მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში სახელმწიფოს მდგრადი განვითარების ერთ-ერთი მთავარი პირობა, თანასწორობის, მშვიდობისა და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების გარანტიაა. მიუხედავად იმისა, რომ გასული ათწლეულების განმავლობაში ქალთა პოლიტიკური უფლებებისთვის ბრძოლა სისტემურად მიმდინარეობდა, ქალთა არასათანადო წარმომადგენლობა პოლიტიკაში და მათი მონაწილეობა სახელმწიფოს უმაღლეს არჩევით ორგანოებში, როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ დონეზე, არაერთ სახელმწიფოში კვლავ გამოწვევად რჩება.

ათასწლეულის განვითარების მიზნებიდან გამომდინარე, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის საკითხი გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერებისთვის მნიშვნელოვანი გარემოებაა.

რა ვალდებულებები აქვს სახელმწიფოს ვალდებულებები ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად?

ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდის მიზნით განხორციელებულმა ცალკეულმა ცვლილებებმა, მათ შორის ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის მიღებამ არსებითი გავლენა ვერ მოახდინა პოლიტიკაში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდაზე. არაეფექტური გამოდგა პოლიტიკური პარტიებისთვის შემოღებული ფინანსური წამახალისებელი ნორმაც. ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის რეკომენდაციაში, რომელიც საქართველოს მიერ მე-4 და მე-5 პერიოდული ანგარიშის წარდგენის შემდეგ მომზადდა აღნიშნულია, რომ სახელმწიფომ უნდა განახორციელოს ღონისძიებები არსებითი თანასწორობის მიღწევის მიზნით, მათ შორის დანერგოს გენდერული კვოტირების მექანიზმი. აღნიშნული ვალდებულება გამომდინარეობს ასევე ასოცირების შეთანხმების 349-ე მუხლიდან.

ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა, თავის მხრივ, გულისხმობს უმაღლეს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებში ე.წ. ქალთა „კრიტიკული მასის“ არსებობას. ქვეყნების დიდ ნაწილში, სადაც ქალთა წარმომადგენლობა უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში 30%-ზე მაღალია ცხადყოფს, რომ არსებული ბარიერების გაქრობა ეფექტური საკანონმდებლო ზომების გატარებას მოითხოვს. გენდერული კვოტა, სწორედ საკანონმდებლო, დროებით ზომას წარმოადგენს ქალთა და კაცთა თანაბარი პოლიტიკური მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. საქართველოს კონსტიტუციაში 2017 წელს განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, სახელმწიფო ფორმალური თანასწორობის მოდელიდან არსებითი თანასწორობის მოდელზე გადავიდა, რითაც დაეკისრა განსაკუთრებული ზომების მიღების ვალდებულება მამაკაცებისა და ქალების მიმართ არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად.

საპარლამენტო არჩევნების არსი

საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნები ტარდება საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბრის ბოლო შაბათს.

საქართველოს პარლამენტი აირჩევა 4 წლის ვადით.

საქართველოს პარლამენტის 150 წევრი აირჩევა ერთიან მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე.

პარლამენტის წევრთა მანდატები განაწილდება იმ პოლიტიკურ პარტიებზე, რომლებმაც არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ნამდვილი ხმების 5 პროცენტი მაინც მიიღეს. პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობის დასადგენად მის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა მრავლდება 150-ზე და იყოფა ყველა იმ პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული ხმების ჯამზე, რომლებმაც არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ნამდვილი ხმების 5 პროცენტი მაინც მიიღეს.

მიღებული რიცხვის მთელი ნაწილი არის პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობა. თუ პოლიტიკური პარტიების მიერ მიღებული მანდატების რაოდენობათა ჯამი 150-ზე ნაკლებია, გაუნაწილებელ მანდატებს თანმიმდევრობით მიიღებენ უკეთესი შედეგის მქონე პოლიტიკური პარტიები.

ტრენერი დამატებით აწოდებს საარჩევნო სისტემის შესახებ ინფორმაციას მოკლედ:

პროპორციული საარჩევნო სისტემის შემთხვევაში, პარტიები წარადგენენ არა ერთეულ კანდიდატებს, არამედ ერთიან სიებს. ყოველი ამომრჩეველი თავის ერთ ხმას აძლევს მისთვის მისაღებ პარტიას. პარტიის მიერ მოპოვებული მანდატების რაოდენობა არჩევნებში მიღებული ხმების რაოდენობის პროპორციულია.

მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის შემთხვევაში, ამომრჩეველი ხმას აძლევს კონკრეტულ კანდიდატს, რომელიც შეიძლება წარადგინოს პარტიამ. მაჟორიტარულ არჩევნებში გამარჯვებულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც კანონით დადგენილ უმრავლესობას მიიღებს. საქართველოში საკრებულოს არჩევნები ტარდება შერეული სისტემით - პროპორციულით და მაჟორიტარულით.

ვის აქვს არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება და როგორ უნდა გადავამოწმოთ თავი ამომრჩეველთა სიაში

აქტიური საარჩევნო უფლება აქვს საქართველოს ყველა მოქალაქეს, რომელსაც არჩევნების/რეფერენდუმის/პლებისციტის დღემდე შეუსრულდა ან იმ დღეს უსრულდება 18 წელი და რომელიც აკმაყოფილებს ამ კანონით დადგენილ პირობებს, ***გარდა იმ პირებისა, რომლებსაც საქართველოს კონსტიტუციით ან/და მის შესაბამისად ამ კანონით შეზღუდული აქვთ აქტიური საარჩევნო უფლება.***

არჩევნებში, რეფერენდუმსა და პლებისციტში მონაწილეობის უფლება არა აქვს საქართველოს მოქალაქეს, რომელიც სასამართლოს განაჩენით განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის იმყოფება სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში ან სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილია მხარდაჭერის მიმღებად და მოთავსებულია შესაბამის სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში.

იმისათვის, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიიღოთ, რეგისტრირებული უნდა იყოთ ამომრჩეველთა ერთიან სიაში. თქვენ, შესაძლებლობა გაქვთ არჩევნებამდე , საკუთარი თავი გადაამოწმოთ ამომრჩეველთა ერთიან სიაში შემდეგ ბმულზე: http://voters.cec.gov.ge/.

ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში მცხოვრებ ამომრჩევლებ ს ცესკოს ვებგვერდზე ამომრჩეველთა ერთიან სიაში საკუთარი მონაცემების გადამოწმება შ ეუძლიათ აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე.

ხარვეზის ან შეცდომის აღმოჩენის შემთხვევაში თქვენ გაქვთ უფლება მოითხოვო სიაში ცვლილებების შეტანა. ამისათვის, უნდა მიმართოთ საუბნო საარჩევნო კომისიას ან სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ან ცესკოს სატელეფონო ცენტრს.

შენიშვნა ტრენერისათვის: *ტრენერს შეუძლია აჩვენოს პროცესი და შეიყვანოთ თქვენი მონაცემი, თუმცა თუ ინტერნეტთან წვდომა არ გაქვთ აჩვენეთ სქრინშოტი სლაიდზე და ისე აუხსენით.*

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების არჩევნებში მონაწილეობის თავისებურება

ტრენერი სვამს შემდეგ კითხვას, რა გარანტიებია შშმ პირების არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად?

საარჩევნო კოდექსის მიხედვით, უზრუნველყოფილია შშმ არჩევნებში, რეფერენდუმსა და პლებისციტში მონაწილეობა.

სათანადო შენობა-ნაგებობის არსებობის შემთხვევაში საარჩევნო უბნისთვის ისეთი შენობა-ნაგებობა უნდა გამოიყოს, რომელიც ყველა ამომრჩევლისათვის იქნება ხელმისაწვდომი,

ხოლო ასეთი შენობა-ნაგებობის არარსებობის შემთხვევაში საარჩევნო უბნისთვის გამოყოფილი შენობა-ნაგებობა, სადაც ეს შესაძლებელია, მისი გადამცემი ორგანოს მიერ კენჭისყრის დღისთვის ადაპტირებული უნდა იქნეს ყველა ამომრჩევლისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლების საარჩევნო უფლების რეალიზაციისთვის არსებობს თუ არა დამატებითი რეგულაციები საარჩევნო კოდექსში?

ეტლით მოსარგებლე ამომრჩეველი უფლებამოსილია საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ ნებისმიერ ადაპტირებულ საარჩევნო უბანზე, აგრეთვე მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს შესაბამისი ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე არსებულ ნებისმიერ ადაპტირებულ საარჩევნო უბანზე, **რისთვისაც მან კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს მე-11 დღისა უნდა მიმართოს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას/საუბნო საარჩევნო კომისიას.**

ამომრჩევლის მიერ საარჩევნო უბნის შეცვლის მიზნით:

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი/საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი სარეგისტრაციო ჟურნალში რეგისტრაციაში გაატარებს და ხელმოწერით დაადასტურებს ამომრჩევლის წერილობით განცხადებას (ამ განცხადებაში მითითებული უნდა იყოს საქართველოს მოქალაქის პირადი ნომერი) ან სატელეფონო შეტყობინებით მიღებულ ზეპირ განცხადებას (ამ შემთხვევაში მიეთითება ამომრჩევლის პირადი ნომერი, სატელეფონო შეტყობინების ზუსტი დრო და შესაბამისი ტელეფონის ნომერი).

ამომრჩევლის მიერ საოლქო საარჩევნო კომისიისთვის მიმართვის შემთხვევაში შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას ეცნობება ამ საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა სიაში რეგისტრირებული ამომრჩევლის ადაპტირებული საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში შეყვანის შესახებ.

უცხოეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების არჩევნებში მონაწილეობა

საზღვარგარეთ ხმის მიცემა შესაძლებელია საქართველოს იმ დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში, სადაც გაიხსნება საარჩევნო უბნები.

საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების ჩამონათვალი ხელმისაწვდომია შემდეგ გვერდზე: https://mfa.gov.ge/bilateral-relations

იმისთვის, რომ საქართველოს მოქალაქემ შეძლოს არჩევნებში მონაწილეობა:

- უნდა იმყოფებოდეს ან დადგეს საკონსულო აღრიცხვაზე
- 7 ოქტომბრის ჩათვლით ადგილსამყოფელი ქვეყნის მიხედვით გაიაროთ საარჩევნო რეგისტრაცია საარჩევნო უბანში, რომელიც არჩევნებამდე არაუგვიანეს 30-ე დღისა (26 სექტემბერი) იხსნება საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში.

საკონსულო აღრიცხვაზე დადგომა შესაძლებელია: ვებ-გვერდის geoconsul.gov.ge საშუალებით,

საელჩოში/საკონსულოში პირადი გამოცხადების გზით ან საფოსტო გზავნილის მეშვეობით.

წინასაარჩევნო კამპანია/წინასაარჩევნო პროცესში მოქმედი დარღვევები

რა უნდა ვიცოდეთ, იმისთვის, რომ არ ჩავერთოთ უკანონოდ წინასაარჩევნო კამპანიაში

სავარჯიშო: "მობილიზაცია vs წინასაარჩევნო კამპანია"

მიზანი: მონაწილეებმა გაიღრმავონ ცოდნა მობილიზაციისა და წინასაარჩევნო კამპანიის განსხვავებების შესახებ. თითოეულ ჯგუფს მიეცით ორი ფლიპჩარტი - ერთი წარწერით "მობილიზაცია", მეორე - "წინასაარჩევნო კამპანია".

სთხოვეთ ჯგუფებს 15 წუთის განმავლობაში იმსჯელონ და ჩამოწერონ თითოეული ცნების მახასიათებლები შემდეგი კატეგორიების მიხედვით: 15 წუთის შემდეგ, სთხოვეთ ჯგუფებს წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევარი.

პრეზენტაციების შემდეგ, გამართეთ დისკუსია შემდეგ კითხვებზე: რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავებები მობილიზაციას და კამპანიას შორის.

ტრენინერი ხნის რას ნიშნავს წინასაარჩევნო კამპანია:

წინასაარჩევნო კამპანია/აგიტაცია:

- ამომრჩეველთა მოწოდება საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ
- ნებისმიერი საჯარო მოქმედება, რომელიც ***ხელს უწყობს*** ან ***ხელს უშლის*** მის არჩევას, ან/და რომელიც შეიცავს წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნებს
- წინასაარჩევნო ღონისძიების ორგანიზებაში/ჩატარებაში მონაწილეობა
- საარჩევნო მასალების შენახვა ან გავრცელება
- მხარდამჭერთა სიებზე მუშაობა, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობებში ყოფნა

ამომრჩევლის მობილიზაცია:

- ამომრჩევლებისთვის ინფორმაციის მიწოდება არჩევნების თარიღის, ადგილმდებარეობისა და პროცედურების შესახებ.
- ამომრჩევლების დარწმუნება ხმის მიცემის მნიშვნელობის შესახებ.

პოლიტიკურ პარტიას, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატს, საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვთ:

დაამზადონ წინასაარჩევნო მოწოდებები, განცხადებები, წარწერები, ფოტომასალები, გამოვიდნენ მომავალი საქმიანობის პროგრამით და სხვა.

აგიტაციის პროცესში იკრძალება:

ომისა და ძალადობის პროპაგანდა, არსებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების ძალადობით შეცვლისკენ ან დამხობისკენ.

მოწოდება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისკენ, ეროვნული შუღლისა და მტრობის, რელიგიური და ეთნიკური დაპირისპირებისკენ.

სოციალური ქსელებით აგიტაცია: ამომრჩეველთა მოწოდება საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ, ***აგრეთვე ნებისმიერი საჯარო მოქმედება***, რომელიც ხელს უწყობს ან ხელს უშლის მის არჩევას, ან/და რომელიც შეიცავს წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნებს.

საჯარო მოხელეებისთვის წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მიღებისა და აგიტაციის უფლებამოსილების შეზღუდვა გამომდინარეობს ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი პრინციპებიდან, რაც საჯარო მოსამსახურეებს ავალდებულებს დაიცვას მიუკერძოებლობისა და პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპი.

საჯარო მოსამსახურეს უფლება არა აქვს, თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა პარტიული (პოლიტიკური) მიზნებისათვის ან/და ინტერესებისათვის გამოიყენოს, სამუშაო საათებში ან/და

სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას მონაწილეობა მიიღოს წინასაარჩევნო კამპანიაში.

ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის თანახმად, რომელიც სახელმწიფოსა და პოლიტიკურ პარტიას შორის ზღვრის არსებობის აუცილებლობაზე მიუთითებს, პარტიული საქმიანობა არ უნდა იყოს აღრეული სახელმწიფოს საქმიანობასთან.

რა აკძალვები მოქმდებს საარჩევნო უბნების გარე პერიმეტრზე არჩევნების დღეს?

რა შეზღუდვებია კენჭისყრის დღეს?

კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში აკრძალულია წინასაარჩევნო აგიტაცია.

საარჩევნო უბნის გარეთ მოქმედი შეზღუდვები

- დაუშვებელია კენჭისყრის შენობის შესასვლელიდან ***25 მეტრის მანძილზე*** სააგიტაციო მასალის განთავსება. ეს მასალა ჩამოხსნას/დემონტაჟს/აღებას ექვემდებარება.
- დაუშვებელია აგრეთვე კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობიდან ***100 მეტრის მანძილზე*** ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.
- დაუშვებელია კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობიდან ***100 მეტრის მანძილზე*** ადამიანთა შეკრება ან ამომრჩეველთა აღრიცხვა.

ვის ერძალება წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობა?

ტრენინერი სვამს კითხვას ვის ეკრძალება წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობა?

წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ პირს, გარდა:

- საარჩევნო კომისიის წევრისა;

- მოსამართლისა;
- საქართველოს პროკურატურის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, საქართველოს დაზვერვის სამსახურის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის საჯარო მოხელისა;
- გენერალური აუდიტორისა;
- საქართველოს სახალხო დამცველისა;
- უცხო ქვეყნის მოქალაქისა და ორგანიზაციისა;
- საქველმოქმედო და რელიგიური ორგანიზაციებისა;
- საჯარო მოსამსახურისა – სამუშაო საათების განმავლობაში ან/და როდესაც ის უშუალოდ ახორციელებს სამსახურებრივ უფლებამოსილებებს;
- საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისა და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრებისა;
- საჯარო სამართლის იურიდიული პირის *(გარდა უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისა, სახელოვნებო დაწესებულებებისა, რელიგიური ორგანიზაციებისა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისა)* თანამშრომლისა, სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის თანამშრომლისა, სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორისა, აღმზრდელ-პედაგოგისა, აღმზრდელისა, მასწავლებლისა, იქ დასაქმებული სხვა პირისა, – სამუშაო საათების განმავლობაში ან როდესაც ის უშუალოდ ახორციელებს სამსახურებრივ უფლებამოსილებებს.

ამის შემდეგ ტრენერი იხილავს სამ სადისკუსიო საკითხს:

სადისკუსიო საკითხი #1

საპარლამენტო არჩევნებამდე 10 დღით ადრე, აქტიურ წინასაარჩევნო პერიოდში ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურული სამსახურის უფროსმა სამუშაო საათებში ფეისბუქის პირად გვერდზე გამოაქვეყნა მმართველი პარტიის წინასაარჩევნო ვიდეო რგოლი.

განსაზღვრეთ აღნიშნულ შემთხვევაში დაირღვა თუ არა საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესები აგიტაციის განხორციელებასთან დაკავშირებით.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, წინასაარჩევნო აგიტაციას წარმოადგენს ამომრჩეველთა მოწოდება საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის

კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ნებისმიერი საჯარო მოქმედება, რომელიც ხელს უწყობს ან ხელს უშლის მის არჩევას.

„საქართველოს საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის თანახმად, აგიტაციაში მონაწილეობა ეკრძალებათ სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოხელეებს სამუშაო საათების განმავლობაში ან/და როდესაც ისინი ასრულებენ სამსახურებრივ ფუნქციას.

სადისკუსიო საკითხი #2

წინასაარჩევნო პერიოდში ერთ-ერთი პოლიტიკური პარტია მუნიციპალიტეტის სოფლებში ამომრჩევლებთან შეხვედრას გეგმავდა. შეხვედრამდე ერთი კვირით ადრე მუნიციპალიტეტის მერი, განათლების რესურს-ცენტრის ხელმძღვანელი, ასევე მერიის იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტები საჯარო სკოლის პედაგოგებს შეხვდა და მმართველი პარტიის შეხვდრის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა, ასევე მოუწდა მათ დასწრებოდნენ აღნიშნულ შეხვედრას მინიმუმ ერთ სოფელში მაინც.

პედაგოგების ნაწილმა მერის მითითების შემდეგ, გადაწყვეტეს დასწრებოდნენ პოლიტიკური პარტიის შეხედრას.

განსაზღვრეთ დაირღვა თუ არა საარჩევნო კოდექსით დადგენილი მოთხოვნები.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, წინასაარჩევნო აგიტაციას წარმოადგენს ამომრჩეველთა მოწოდება საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ნებისმიერი საჯარო მოქმედება, რომელიც ხელს უწყობს ან ხელს უშლის მის არჩევას.

„საქართველოს საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის თანახმად, აგიტაცია ეკრძალებათ ***სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორისა, აღმზრდელ-პედაგოგისა,*** აღმზრდელისა, მასწავლებლისა, იქ დასაქმებული სხვა პირისა, – სამუშაო საათების განმავლობაში ან როდესაც ის უშუალოდ ახორციელებს სამსახურებრივ უფლებამოსილებებს.

სადისკუსიო საკითხი #3

წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ დაგეგმა მატჩი „მსოფლიოს ვარსკვლავები საქართველოსთვის".

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოში ცნობილმა ფეხბურთელებმა. აღნიშნულ მატჩში მონაწილეობას იღებდა ასევე მერობის ერთ-ერთი კანდიდატი. მატჩის შემდგომ ერთ-

ერთმა მსოფლიო ვარსკვლავმა განაცხადა, რომ ღონისძიებაში მონაწილე მერობის კანდიდატი, კარგი მერი იქნება.

განმარტეთ აღნიშნულ შემთხვევაში დაირღვა თუ არა საქართველოს ორგანული კანონი „საარჩევნო კოდექსი“.

ცესკოს განმარტებით, აგიტაციის გაწევის ან/და აგიტაციაში მონაწილეობის წესების დარღვევას მაშინ შეიძლება ჰქონდეს ადგილი, როდესაც პირის მიერ ამომრჩეველთა მოწოდება ხდება წინასაარჩევნოდ ორგანიზებულ ღონისძიებაზე.

ფეხბურთის ფედერაცია არ წარმოადგენს საარჩევნო სუბიექტს და საფეხბურთო მატჩი ვერ ჩაითვლება წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილად. ფეხბურთელის მიერ გამოთქმული მოსაზრება მის პირად აზრს წარმოადგენს, არაა წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილი და არ შეიძლება ჩაითვალოს წინასაარჩევნო აგიტაციად.

საარჩევნო კოდექსის მე-2 მუხლის „ჰ1“ ქვეპუნქტის თანახმად, წინასაარჩევნო აგიტაცია ეს არის ამომრჩეველთა მოწოდება საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ნებისმიერი საჯარო მოქმედება, რომელიც ხელს უწყობს ან ხელს უშლის მის არჩევას, ან/და რომელიც შეიცავს წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნებს, მათ შორის, წინასაარჩევნო ღონისძიების ორგანიზებაში/ჩატარებაში მონაწილეობა, საარჩევნო მასალების შენახვა ან გავრცელება, მხარდამჭერთა სიებზე მუშაობა, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობებში ყოფნა.

გახსოვდეთ: *წინასაარჩევნო აგიტაციაში ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევით მონაწილეობა –*

გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით.

რას ნიშნავს ადმინისტრაციული რესურსის არამიზნობრივად გამოყენება?

რას ნიშნავს ადმინისტრაციული რესურსის არამიზნობრივად გამოყენება?

კონკრეტული პარტიების ან კანდიდატების მიერ მიღებული უთანასწორო უპირატესობა, რაც გამოწვეულია მათი სამსახურეობრივი მდგომარეობის ან სახელმწიფო დაწესებულებებთან არსებული ურთიერთობების გამოყენებით.

ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR), კამპანიის დაფინანსების რეგულირების სახელმძღვანელო პრინციპები

რა სახის ადმინისტრაციული რესურსის არსებობს?

ადმინისტრაციული რესურსების რამდენიმე კლასიფიკაცია არსებობს, მაგალითად, ისინი პირობითად შეიძლება დავყოთ შემდეგ სახეებად:

ა) ფინანსური, ბ) ინსტიტუციური, გ) მარეგულირებელი და დ) ძალისმიერი რესურსი. ამასთანავე ისეთ ქვეყნებში, სადაც მედია საშუალებები სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება, რელევანტურია მათი მიჩნევა ადმინისტრაციული რესურსის სახედ, რადგან მათი გამოყენებით შესაძლებელია საარჩევნო სუბიექტის ან მისი კანდიდატის პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩაყენება. ზოგიერთი კლასიფიკაციით მედია რესურსი ინსტიტუციურ ადმინისტრაციულ რესურსში მოიაზრება.

ფინანსური რესურსების გამოყენების მაგალითს წარმოადგენს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო რესურსების საარჩევნო სუბიექტების სასარგებლოდ გამოყენება. კერძოდ, კანდიდატები იყენებენ საჯარო რესურსებს ამომრჩეველთა მოსასყიდად: სთავაზობენ თანხას, საკვებს ან საჩუქრებს ხმების სანაცვლოდ და სხვა. ინსტიტუციური ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების სახეს წარმოადგენს სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირების, საჯარო სკოლებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებული პირების ჩართვა მმართველი პოლიტიკური პარტიის კამპანიაში. მარეგულირებელი ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებისას, შესაძლებელია იმგვარი ცვლილებები განხორციელდეს კანონმდებლობაში, რომლითაც მმართველი პარტია უპირატეს მდგომარეობაში აღმოჩნდეს სხვა პარტიებთან შედარებით. **მაგალითად,** საარჩევნო კომისიაში წევრების დანიშვნის წესის მორგება მმართველი პარტიისთვის. ***ძალისმიერი*** ადმინისტრაციული რესურსს მიეკუთვნება მუქარა ოპოზიციური პარტიის კანდიდატებზე, მათ ოჯახის წევრებზე, რაც შეიძლება გამოიხატოს მათი სამსახურიდან წასვლის იძულებაში, კანდიდატურის მოხსნაში, გათავისუფლებაში, პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის გამოქვეყნებაში და სხვა.[2]

სადისკუსიო საკითხი #1:

განსაზღვრეთ ჩაითვლება თუ არა აღნიშნული შემთხვევა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებად და რა შემთხვევაში იქნება გამართლებული საკრებულოს მიერ Y პოლიტიკური პარტიისთვის უარის თქმა?

საქართველოს ორგანული კანონის „საარჩევნო კოდექსის“ 48-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული რესურსის არამიზნობრივად გამოყენებად ჩაითვლება სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ, აგრეთვე იმ ორგანიზაციების მიერ, რომლებიც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან, დაკავებული შენობების

[2] თ. ქინქლაძე, საარჩევნო ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება: საერთაშორისო სტანდარტი, საქართველოში არსებული მარეგულირებელი ჩარჩო და პრაქტიკა, 2023.

გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ სხვა პოლიტიკურ პარტიებს, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატებს, საარჩევნო სუბიექტებს არა აქვთ იმავე ან ანალოგიური დანიშნულების შენობების იმავე პირობებით გამოყენების შესაძლებლობა.

ადმინისტრაციული რესურსის თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპის დარღვევას წარმოადგენს ქმედება, როცა თანამდებობის პირი უმოქმედობით ან დაუსაბუთებელი უარით არ დააკმაყოფილებს მოთხოვნას. ამ ნორმაში მოცემულ – საარჩევნო სუბიექტის შესაბამის მიმართვას, როგორც წესი, დასაბუთებული წერილობითი პასუხი უნდა გაეცეს მიმართვიდან არაუმეტეს 24 საათისა, რა დროშიც პასუხის გაუცემლობა ჩაითვლება მიმართვაზე უარის თქმად. აღნიშნული წესიდან გამონაკლისი დაიშვება ობიექტური მიზეზის არსებობის შემთხვევაში.

სადისკუსიო საკითხი #2

წინასაარჩევნო პერიოდში ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის მერმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულ გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკო. შეხვედრას პარლამენტის თავმჯდომარე და პარლამენტის სხვა წევრები, ასევე პრეზიდენტობის კანდიდატი ესწრებოდნენ. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა მერიის ოფიციალურ facebook-სა და ვებ. გვერდებზე.

განსაზღვრეთ შეიძლება თუ არა აღნიშნული ჩაითვალოს ადმინისტრაციული რესურსის არამიზნობრივ გამოყენებად.

ცესკოს გადაწყვეტილებით, ღონისძიება გაიმართა სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით, რაც ვერ იქნება განხილული, როგორც საარჩევნო კამპანიის ნაწილი. სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით გარდაცვლილთა ხსოვნის პატივსაცემად გამართული ღონისძიება იყო საჯარო და ნებისმიერ მსურველს ჰქონდა შესაძლებლობა მიეღო მონაწილეობა ამ ღონისძიებაში.

საქართველოს ორგანული კანონის „საარჩევნო კოდექსის“ 48-ე მუხლი:

დაუშვებელია, წინასაარჩევნო კამპანიის პროცესში რომელიმე პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის სასარგებლოდ ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და იმ ორგანიზაციებისათვის, რომლებიც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან განკუთვნილი საკომუნიკაციო საშუალებების, საინფორმაციო მომსახურებისა და სხვადასხვა სახის ტექნიკის გამოყენება.

ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის თანახმად, სახელმწიფო საქმიანობა არ შეიძლება იქნეს აღრეული პარტიულ საქმიანობასთან.

საარჩევნო კოდექსის მიხედვით იკრძალება:

- სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული ორგანიზაციების შენობების გამოყენება.
- სახელმწიფო ხელისუფლების და სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული ორგანიზაციებისთვის განკუთვნილი საკომუნიკაციო საშუალებების, საინფორმაციო მომსახურების და ტექნიკის გამოყენება.
- სახელმწიფო ხელისუფლების ან მუნიციპალიტეტის ორგანოების საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება.
- აკრძალულია საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების თანამშრომლების, სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო იურიდიული პირების თანამშრომლების, ასევე, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული სკოლამდელი აღზრდის, განათლების დაწესებულებებისა და საჯარო სკოლებში დასაქმებული პირების სამსახურებრივი ნიშნით შეკრება.

წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლების მქონე პირს, რომელსაც სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოში უკავია თანამდებობა, ეკრძალება რომელიმე პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის, საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ *წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის წარმოების პროცესში თავისი თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება.*

რას წარმოადგენს თანამდებობრივი ან სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენება საარჩევნო მიზნით?

- სამსახურებრივად დაქვემდებარებული ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის ჩაბმას ისეთ საქმიანობაში, რომელიც ხელს უწყობს კანდიდატის წარდგენას ან/და არჩევას
- სახელმწიფო ხელისუფლების ან მუნიციპალიტეტის ორგანოს მიერ დაფინანსებული სამსახურებრივი მივლინებების დროს ხელმოწერების შეგროვებას და წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევას
- წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევას სამუშაო საათების განმავლობაში ან/და სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისას.

კაზუსი #1

ტრენერი მონაწილეებს უხსნის კაზუსს და აძლევს 10 წუთს განსახილველად.

კაზუსის შინაარსი:

პარტია „სატურნმა“, რომელსაც საპარლამენტო უმრავლესობა აქვს, გადაწყვიტა რუსთაველის ქუჩის სასწრაფო რეაბილიტაცია, რადგან, მოსახლეობის ინფორმაციის შესაგროვებლად გაგზავნილი კოორდინატორების მეშვეობით შეიტყვეს, რომ იქაურ მოსახლეობაში ოპოზიციური განწყობები სჭარბობს. კოორდინატორებად, როგორც წესი, მერის წარმომადგენლები და ა(ა)იპ-ების

თანამშრომლები მუშაობენ. შესაბამისად, 10 აგვისტოს გამართულ რიგგარეშე სხდომაზე, ბიუჯეტში ცვლილებები შეიტანეს და ქუჩის სავალი ნაწილის რეაბილიტაციისთვის თანხა გაითვალისწინეს.

მერიამ დაამზადა ამ ინფორმაციის ამსახველი პოსტერები და განათავსა მერიის ვებსაიტსა და ფეისბუქის გვერდზე, პოსტერებზე მერი და საკრებულოს თავმჯდომარე „სატურნის“ საიმიჯო მაისურებში იყვნენ გადაღებული. მერიის პოსტი თავის ფეისბუქ-გვერდზე, იმავე სამუშაო დღეს, გააზიარეს მხარის სახელმწიფო რწმუნებულმა და მისმა თანამშრომელმა ადმინისტრაციული სამსახურის სპეციალისტმა.

მეორე დღეს, მუნიციპალიტეტს ესტუმრა მინისტრი და მოსახლეობასთან საარჩევნო შეხვედრა გამართა მერიის სააქტო დარბაზში. რადგანაც, იქვე იყვნენ, შეხვედრას დაესწრნენ მერიის/საკრებულოს თანამშრომლებიც. მერმა სხვა პარტიის წევრებს უარი უთხრა სააქტო დარბაზის დათმობაზე, რადგან ის გამონაკლისის სახით, მხოლოდ მინისტრს დაუთმეს.

კაზუსის ამოხსნა:

კოორდინატორების მიერ მოსახლეობის მონაცემების შეგროვება - არავის აქვს უფლება მოქალაქისგან პირადი ინფორმაცია და პოლიტიკური არჩევანის შესახებ გადაწყვეტილების გამჟღავნება მოითხოვოს, წინასწარ უნდა განუმარტოს, რომ ადამიანს უარის თქმის უფლება აქვს;

მერის წარმომადგენელს და ა(ა)იპ-ების თანამშრომლებს ეკრძალებათ სამუშაო საათებში აგიტაცია და პარტიული მიზნების სამსახური;

ასევე, არჩევნებამდე 60 დღიდან აკრძალულია ბიუჯეტის სახსრების პარტიული მიზნით განაწილება - ადმ. რესურსის გამოყენება;

წინასაარჩევნო პეროოდში აკრძალულია ბიუჯეტის ცვლილება და ახალი პროექტის წამოწყება/განხორციელება;

მერიის ხარჯით პარტიული პოსტერის ბეჭდვა - ადმ. რესურსის გამოყენება;

პარტიული აქტივობის შესახებ ინფორმაციის ოფიციალური გვერდებით გავრცელება - ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება;

რწმუნებულის აპარატისა და სპეციალისტის მიერ გაზიარება - სამუშაო დროს - არაუფლებამოსილი პირის მონაწილეობა წინასაარჩევნო კამპანიაში/აგიტაციაში;

მერიის შენობის გამოყენება პარტიული შეხვედრისთვის - ადმ. რესურსი და დისკრიმინაცია ოპოზიციის წინააღდეგ;

მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებული იყვნენ წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებიდან 5 დღის ვადაში შეედგინათ იმ შენობა-ნაგებობების ნუსხა, სადაც შესაძლებელია ჩატარდეს წინასაარჩევნო

კამპანია (აგიტაცია), გადაეცათ საოლქო საარჩევნო კომისიისთვის და თანაბრად მიეცათ სარგებლობის შესაძლებლობა ყველა პარტიისთვის;

მოხელეების დასწრება - არაუფლებამოსილი პირების მონაწილეობა. უნდა გაიმიჯნოს აქ, რადგან წერია ყველა თანამშრომელი პოლიტიკური თანამდებობის პირებს აქვთ დასწრების უფლება.

რას ნიშნავს ამომრჩევლის მოსყიდვა?

რას ნიშნავს ამომრჩევლის მოსყიდვა?

საარჩევნო მიზნით, პირისთვის ***პირდაპირ*** ან ***არაპირდაპირ*** ფულის, ფასიანი ქაღალდის (მათ შორის, ფინანსური ინსტრუმენტის), ქონების, ქონებრივი უფლების, მომსახურების ან სხვა რაიმე უპირატესობის შეთავაზება, დაპირება ან გადაცემა.

მაგალითები, რა შეიძლება ჩაითვალოს ამომრჩევლის მოსყიდვად:

- პირადად ან ვინმეს მეშვეობით ფულის, საჩუქრების, მატერიალური ნივთების გადაცემა (პროდუქტი, ნივთები, მედიკამენტები და სხვა)
- შეღავათიან ფასად საქონლის მიყიდვა
- მოქალაქეებისთვის უფასო მომსახურების და სხვა უკანონო სარგებლის შეთავაზება საარჩევნო მიზნით, დაწინაურება, სამსახურში აყვანა და სხვა.

მოსყიდვას არ მიეკუთვნება?

- მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების კამპანიის მცირე ღირებულების მქონე აქსესუარების – მაისურების, კეპების, ქუდების, დროშების და სხვა მსგავსი ნივთების გადაცემა.
- სადღესასწაულო ღონისძიების აღნიშვნის ფარგლებში მცირე ღირებულების მქონე, წლის განმავლობაში არაუმეტეს 5 000 ლარის საერთო ღირებულების ნივთების საჩუქრად შეთავაზება, დაპირება ან გადაცემა, აგრეთვე ამგვარი საჩუქრის მიღება.
- პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება პოლიტიკური და საარჩევნო დაპირებებისათვის, რომლებიც უკავშირდება საბიუჯეტო სახსრების სამომავლო განაწილებას და სახელმწიფო პოლიტიკის სამომავლო განხორციელებას.

ამომრჩევლის მოსყიდვის შემთხვევაში მან ამის თაობაზე ნებაყოფლობით განუცხადოს სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელ ორგანოს.

პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი ორგანო.

გახსოვდეთ, მოსყიდვა სისხლის სამართლის დანაშაულია და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან ჯარიმით.

კაზუსი #1

საპარლამენტო არჩევნების წინ გააქტიურდა მუნიციპალიტეტებში წინასაარჩევნო კამპანია, შესაბამისად, პოლიტიკურმა პარტიებმა აქტიური შეხვედრები დაგეგმეს ამომრჩევლებთან. აღნიშნული კამპანიის ფარგლებში პოლიტიკურმა პარტიამ „ევროპული გზა“ დაიწყო ამომრჩევლებთან შეხვედრების ციკლი, მათ შორის ამომრჩევლებთან შეხედრა ჩაინიშნა 10 სექტემბერს.

პარტიის ლიდერმა შეხვედრის დროს განაცხადა:

- *თუ არჩევნებში გაიმარჯვებს, უბნის ყველა მცხოვრებს დაურიგებს სასურსათო ვაუჩერებს 100 ლარის ოდენობით.*
- *უბნის ახალგაზრდებს ჰპირდება უფასო ინგლისური ენის კურსებს.*
- *პენსიონერებს სთავაზობს უფასო სამედიცინო გამოკვლევებს მუნიციპალურ კლინიკაში.*
- *აცხადებს, რომ თუ ამ უბანში ხმების 70%-ზე მეტს მიიღებს, აქ მცხოვრებ ყველა სტუდენტს დაუფინანსებს ერთი სემესტრის სწავლის საფასურს.*

შეხვედრის ბოლოს, პარტიის შტაბის წევრები არიგებენ კალმებს და ბლოკნოტებს პარტიული სიმბოლიკით. იმავე საღამოს, სოციალურ ქსელში ვრცელდება ვიდეო, სადაც ჩანს, რომ შეხვედრის შემდეგ ამავე პარტიის აქტივისტი რამდენიმე მხარდამჭერი ადგილობრივ მაცხოვრებლებს სთავაზობს 50 ლარს ხმის მიცემის სანაცვლოდ.

კითხვები:

არის თუ არა ამ სიტუაციაში ამომრჩევლის მოსყიდვის ნიშნები?

თუ კი, კონკრეტულად რომელი ქმედებები შეიძლება ჩაითვალოს კანონდარღვევად?

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია არის ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც ორგანიზებას უწევს არჩევნების გამართვას. საარჩევნო ადმინისტრაცია სამდონიანია და შედგება ცენტრალური, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისაგან.

ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო) არის მუდმივმოქმედი, უმაღლესი ორგანო, რომელიც განთავსებულია ქალაქ თბილისში. მისი მოვალეობაა მთლიანი საარჩევნო პროცესის ორგანიზება და კოორდინაცია, მათ შორის, საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებული დოკუმენტების გამოცემა, საგანმანათლებლო და საინფორმაციო კამპანიის წარმოება და ქვემდგომი საარჩევნო კომისიების საქმიანობის კონტროლი.

უმაღლესი საარჩევნო კომისია (უსკო) უზრუნველყოფს უმაღლესი საბჭოს არჩევნების მომზადებასა და გამართვას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

საოლქო საარჩევნო კომისია არის მუდმივმოქმედი ორგანო, რომელიც საარჩევნო ოლქში უზრუნველყოფს არჩევნების გამართვას და ზედამხედველობას უწევს მის საზღვრებში შემავალ საარჩევნო უბნებს.

საუბნო საარჩევნო კომისია დროებით მოქმედი ორგანოა, რომელიც იქმნება საარჩევნო პერიოდში და ევალება საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე არჩევნების ორგანიზება და ჩატარება. არჩევნების დღეს ამომრჩევლები ხმის მისაცემად საარჩევნო უბანზე მიდიან.

ყველა დონის საარჩევნო კომისია შედგება 17 წევრისაგან, რომელსაც ყავს თამჯდომარე, მოადგილე და მდივანი.

კენჭისყრის პროცედურები, იმ უბნებზე, სადაც არჩევნები ტექნოლოგიების გამოყენებით ტარდება

კენჭისყრის შენობაში:

- ფარული ხმის მიცემის კაბინები უნდა მოეწყოს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ამომრჩევლის მიერ საარჩევნო ბიულეტენის შევსების ფარულობა.
- ამომრჩეველთა რეგისტრატორებისთვის გამოყოფილ მაგიდებზე უნდა განთავსდეს ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატები და მოეწყოს შიდა ქსელის აპარატები ერთმანეთთან ინტერნეტის გარეშე დასაკავშირებლად (სინქრონიზაცია).
- ამომრჩეველთა რეგისტრატორების მაგიდებზე ასევე უნდა განთავსდეს ვერიფიკაციის აპარატებიდან ამობეჭდილი ამომრჩევლების ვერიფიკაციის დამადასტურებელი ქვითრების მოსათავსებლად განკუთვნილი გაუმჭვირვალე ყუთები.
- ძირითადი საარჩევნო ყუთები (მათზე ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატების დამონტაჟება/დალუქვის გარეშე) უნდა განთავსდეს თვალსაჩინო ადგილას ისე, რომ ამომრჩეველმა მათთან მისვლა შეძლოს შეფერხების გარეშე.
- ძირითად საარჩევნო ყუთებთან ახლოს უნდა გამოიყოს ადგილი, სადაც ამომრჩეველი ხმის მიცემის პროცესის დასრულებისთანავე დატოვებს სპეციალურ ჩარჩო-კონვერტს.[3]

სურათზე გამოსახულია კენჭისყრის დღეს ტექნოლოგიები, რომელიც საარჩევნო უბნებზე იქნება განთავსებული:[4]

[3]დამხმარე სახელმძღვანელო, მომზადებულია სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ, 2024 წლის 26 ოქტომბერს გასამართი საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნებისთვის. განკუთვნილია საარჩევნო უბნებისთვის, სადაც კენჭისყრა ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ტარდება.

[4] იქვე



კენჭისყრა იმართება კენჭისყრის დღის (26 ოქტომბერი) 08:00 საათიდან 20:00 საათამდე. ხმის მიცემის პროცედურა ტარდება დადგენილი თანმიმდევრობის დაცვით.

I. მარკირების შემოწმება

კენჭისყრის ოთახში შესვლისას ამომრჩეველი ნაკადის მომწესრიგებელთან გადის მარკირების შემოწმების პროცედურას.

ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრი სთხოვს ამომრჩეველს წარუდგინოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი *(საქართველოს მოქალაქის პირადობის ელექტრონული მოწმობა, საქართველოს მოქალაქის პირადობის არაელექტრონული მოწმობა, ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი)* და ულტრაიისფერი ფარნით ამოწმებს, აქვს თუ არა ამომრჩეველს ხელზე მარკირება. ამომრჩეველს მარკირების გავლის გარეშე ეკრძალება კენჭისყრაში მონაწილეობა.

გახსოვდეთ: თუ ამომრჩეველს აქვს ვადაგასული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან ძალადაკარგული საქართველოს მოქალაქის პირადობის არაელექტრონულ მოწმობა (ძალადაკარგულია 2011 წლის 27 ივლისის ჩათვლით გაცემული არაელექტრონული მოწმობა), მას ეკრძალება კენჭისყრაში მონაწილეობა.

II. ამომრჩევლის მოძიება სიაში

ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრი ამომრჩეველს ვერიფიკაციის აპარატის გამოყენებით უწევს რეგისტრაციის და შემდგომ საარჩევნო ბიულეტენის გაცემის სერვისს.

რეგისტრატორის მიერ ამომრჩევლის რეგისტრაციის პროცესი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- ვერიფიკაციის აპარატში ამომრჩევლის მონაცემების ძებნა და აპარატში ჩატვირთულ ამომრჩეველთა სიაში არსებულ მონაცემებთან შესაბამისობის დადასტურება;
- ამომრჩევლის მარკირება;
- ვერიფიკაციის აპარატიდან ამომრჩევლის ვერიფიკაციის დამადასტურებელი ქვითრის ბეჭდვა და ქვითარზე ამომრჩევლის მიერ ხელმოწერა.

III. ამომრჩეველზე საარჩევნო ბიულეტენის გაცემის პროცედურა

ამომრჩევლის რეგისტრაციის პროცედურის დასრულების შემდეგ, რეგისტრატორი ამომრჩეველს განუმარტავს საარჩევნო ბიულეტენის შევსების და სპეციალური ჩარჩო-კონვერტის გამოყენების წესს.

ბიულეტენის შევსების წესი, რომელიც შეიცვალა: *ხმის მისაცემად ამომრჩეველმა საარჩევნო ბიულეტენში სრულად უნდა გააფერადოს მისთვის სასურველი მხოლოდ ერთი სუბიექტის წინ არსებული წრე. ამომრჩეველმა საარჩევნო ბიულეტენი არ უნდა გადაკეცოს და შევსებული ბიულეტენი უნდა მოათავსოს სპეციალურ ჩარჩო-კონვერტში არჩევანის ფარულობის მიზნით.*

ენიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში მცხოვრები ამომრჩევლებისთვის კენჭისყრის დღეს მისაწვდომია:

- საარჩევნო ბიულეტენი ქართულ-სომხურ, ქართულ-აზერბაიჯანულ, ხოლო შერეულ საარჩევნო უბნებზე ქართულ-სომხურ-აზერბაიჯანულ ენებზე
- ამომრჩეველთა ერთიანი სია ქართულ-სომხურ და ქართულ-აზერბაიჯანულ ენებზე
- ბიულეტენის შევსების წესი ქართულ-სომხურ და ქართულ-აზერბაიჯანულ ენებზე
- კენჭისყრაში მონაწილეობის ამსახველი პოსტერი ქართულ-სომხურ და ქართულ-აზერბაიჯანულ ენებზე.

სადისკუსიო საკითხი #1

ტრენინგის მონაწილეებს ვანახებთ ორი სხვადასხვა ბიულეტენი. ერთ ბიულეტენში შემოხაზულია ერთი პარტია, ხოლო მეორეში - 2 პარტია.

რომელი ბიულეტენი არის სწორად შევსებული.

პასუხების შემდეგ ვუხსნით, რომ ერთზე მეტი პარტიის მონიშვნა ან ბიულეტენის ცარიელად დატოვება გამოიწვევს ბიულეტენის ბათილობას.



IV. ხმის მიცემის პროცესი

ამომრჩეველი სპეციალური მარკერის გამოყენებით ავსებს საარჩევნო ბიულეტენს და ათავსებს მას სპეციალურ ჩარჩო-კონვერტში.

ფარული ხმის მიცემის კაბინაში, საარჩევნო ბიულეტენის შევსებისას, სხვა პირის დასწრება და ფოტო და ვიდეოგადაღება აკრძალულია.

ამომრჩეველს, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს საარჩევნო ბიულეტენი, უფლება აქვს, ფარული კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მიიწვიოს საარჩევნო უბანზე მყოფი ნებისმიერი პირი, გარდა:

- საარჩევნო კომისიის წევრისა;
- კანდიდატისა;
- საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა;
- დამკვირვებლისა;
- პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლისა.

თუ ამომრჩეველს გაუფუჭდა საარჩევნო ბიულეტენი ან სპეციალური ჩარჩო-კონვერტი, მან ეს უნდა აცნობოს კომისიის თავმჯდომარეს. კომისიის თავმჯდომარის დავალებით რეგისტრატორი ვალდებულია ამომრჩეველს შეუცვალოს გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენი/სპეციალური ჩარჩო-კონვერტი ახლით. [5]

სადისკუსიო საკითხი #1

[5] იქვე.

გლდანის #42 საარჩევნო უბანზე დამკვირვებელმა დააფიქსირა შემდეგი ფაქტები:

- საარჩევნო უბნის შესასვლელთან დგას პირი, რომელიც ამომრჩევლებს სთხოვს აჩვენონ მათ მიერ შევსებული ბიულეტენი სანამ ყუთში ჩააგდებენ.
- ერთ-ერთი კომისიის წევრი ამომრჩევლებს სთავაზობს დახმარებას ბიულეტენის შევსებაში, თუნდაც ისინი არ სპეციალური საჭიროების მქონე პირები.
- საარჩევნო კაბინიდან შესაძლებელია დაინახო თუ ვის აძლევს ხმას ამომრჩეველი.

ერთ-ერთმა ამომრჩეველმა ბიულეტენის შევსების შემდეგ გადაიღო ფოტო და სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა წარწერით "აი, ვის მივეცი ხმა".

უბანზე მყოფი დამკვირვებელი ცდილობს დაათვალიეროს ბიულეტენები მას შემდეგ, რაც ამომრჩევლები მათ ყუთში აგდებენ.

საღამოს 8 საათზე, ხმის მიცემის დასრულებისას, კომისიის თავმჯდომარე აცხადებს, რომ ხმების დათვლა მოხდება დახურულ კარს მიღმა, დამკვირვებლების გარეშე.

კაზუსის ამოხსნა:

კენჭისყრის ფარულობა და ამომრჩევლის ნების თავისუფალი გამოვლენა არჩევნების უმთავრესი პრინციპია. აკრძალულია ამომრჩევლის იძულება, დაშინება და ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა. აღნიშნული ქმედება იწვევს დამრღვევის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

საარჩევნო ბიულეტენის შევსებისას აკრძალულია სხვა პირის დასწრება. ამომრჩეველს, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს საარჩევნო ბიულეტენი, უფლება აქვს, ფარული კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მიიწვიოს ნებისმიერი პირი, გარდა:

ა) საარჩევნო კომისიის წევრისა;

ბ) კანდიდატისა;

გ) საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა;

დ) დამკვირვებლისა;

ე) პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლისა.

ტექნოლოგიების გარეშე ხმის მიცა

ხმის მიცემის პროცედურა ტარდება შემდეგი წესისა და თანამიმდევრობის დაცვით:

I. მარკირების შემოწმების პროცედურა

კენჭისყრის ოთახში შესვლისას ამომრჩეველი გადის მარკირების შემოწმების პროცედურას. თუ ამომრჩეველი არ იქნება მარკირებული, მას მიეცემა კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება.

კენჭისყრის ოთახში ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრი კენჭისყრის ოთახში ამომრჩეველს შეუშვებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მას წარუდგენს საქართველოს მოქალაქის პირადობის ელექტრონულ მოწმობას (ID-ბარათს), საქართველოს მოქალაქის პირადობის მოქმედ არაელექტრონულ (ინფორმაციის ელექტრონული მატარებლის არმქონე) მოწმობას ან საქართველოს მოქალაქის პასპორტს და ამომრჩევლისთვის განკუთვნილ სარეგისტრაციო მაგიდასთან ორზე მეტი ამომრჩეველი არ იმყოფება.

II. ამომრჩევლის რეგისტრაცია

კენჭისყრის ოთახში შესული ამომრჩეველი მიდის იმ სარეგისტრაციო მაგიდასთან, რომელსაც მიეკუთვნება ამომრჩეველთა სიაში შეტანილი მისი გვარის პირველი ასო, და ამომრჩეველთა რეგისტრატორ კომისიის წევრს წარუდგენს საქართველოს მოქალაქის პირადობის ელექტრონულ მოწმობას (ID-ბარათს), საქართველოს მოქალაქის პირადობის მოქმედ არაელექტრონულ (ინფორმაციის ელექტრონული მატარებლის არმქონე) მოწმობას ან საქართველოს მოქალაქის პასპორტს. ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრი ამოწმებს წარდგენილ დოკუმენტში აღნიშნული ამომრჩევლის სარეგისტრაციო მონაცემების ამომრჩეველთა სიაში არსებულ მონაცემებთან შესაბამისობას და ამ ამომრჩევლის სახისა და წარდგენილ დოკუმენტსა და ამომრჩეველთა სიაში არსებული ფოტოსურათების ერთმანეთთან შესაბამისობას. შესაბამისობის დადასტურების შემთხვევაში ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრი ახორციელებს ამომრჩევლის მარკირებას და ხელს აწერს ამომრჩეველთა სიის სათანადო გრაფაში, რის შემდეგაც ამომრჩეველი ხელმოწერით ადასტურებს საარჩევნო ბიულეტენის/ბიულეტენების მიღებას. საარჩევნო ბიულეტენის/ბიულეტენების გაცემისას ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრი ხელს აწერს მის/მათ წინა გვერდზე სათანადო გრაფაში და ბიულეტენს/ბიულეტენებს სპეციალური ბეჭდით ამოწმებს.

III. ხმის მიცემის პროცესი

საარჩევნო ბიულეტენის (ბიულეტენების) დამოწმების შემდეგ ამომრჩეველი შედის ფარული კენჭისყრის კაბინაში და ავსებს ბიულეტენს (ბიულეტენებს) ამ კანონით დადგენილი წესით. საარჩევნო ბიულეტენის (ბიულეტენების) შევსების შემდეგ ამომრჩეველმა იგი (ისინი) ისე უნდა დაკეცოს, რომ არ ჩანდეს, ვის მისცა ხმა;

დაკეცილი საარჩევნო ბიულეტენით (ბიულეტენებით) ამომრჩეველი მიდის განცალკევებით მდგარ მაგიდასთან, საიდანაც დამოუკიდებლად იღებს სპეციალურ კონვერტს და მასში ათავსებს ბიულეტენს (ბიულეტენებს). მხოლოდ ამომრჩეველია უფლებამოსილი, საარჩევნო ბიულეტენი (ბიულეტენები) მოათავსოს სპეციალურ კონვერტში. საარჩევნო კომისიის წევრს არა აქვს უფლება, გახსნას შევსებული საარჩევნო ბიულეტენი (ბიულეტენები) ან სხვაგვარად დაარღვიოს კენჭისყრის ფარულობა.

საარჩევნო ყუთთან ერთდროულად ერთზე მეტი ამომრჩევლის მისვლა არ შეიძლება.

საარჩევნო ყუთთან მუდმივად უნდა იმყოფებოდეს საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი კომისიის წევრი. მას დახურული უნდა ჰქონდეს კონვერტის ჩასაგდები ჭრილი, რომელიც უნდა გახსნას მხოლოდ მას შემდეგ, რაც დარწმუნდება, რომ ამომრჩეველს ხელში მხოლოდ ერთი კონვერტი აქვს. კენჭისყრის დასრულების შემდეგ ილუქება საარჩევნო ყუთში სპეციალური კონვერტის ჩასაგდები ჭრილი.

თუ ამომრჩეველს ან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს გაუფუჭდა საარჩევნო ბიულეტენი ან სპეციალური კონვერტი, მან ეს უნდა აცნობოს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, უნდა ჩააბაროს გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენი/სპეციალური კონვერტი და მიიღოს ახალი. გაფუჭებულ საარჩევნო ბიულეტენს/სპეციალურ კონვერტს ამომრჩევლის თანდასწრებით ჩამოეჭრება კუთხე, დაეწერება „გაფუჭებულია“, ხელს მოაწერს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და იგი ცალკე შეინახება.

კენჭისყრის შენობა იკეტება 20 საათზე. ამ დროისათვის რიგში მდგომ ამომრჩევლებს შეუძლიათ ხმის მიცემა, რისთვისაც საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის დავალებით კომისიის ერთ-ერთი წევრი აღრიცხავს რიგში მდგომ ამომრჩეველთა გვარებსა და სახელებს, მათ რაოდენობას აცნობებს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, ხოლო კომისიის მდივანი ჩანაწერთა წიგნში აღნიშნავს რიგში მდგომ ამომრჩეველთა რაოდენობას. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე აცხადებს, რომ კენჭისყრაში მონაწილეობა მხოლოდ რიგში მდგომ ამომრჩევლებს შეუძლიათ.